ხელშეკრულება №12
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. სიღნაღი 26 ინავარი 2011 წ.

ერთის მხრივ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში "დამკვეთი", ნოდარ კოჭლამაზაშვილის სახით ერთის მხრივ და ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი" შემდგომში "შემსრულებელი", დირექტორის მურად ვაშაკიძის სახით მეორე მხრივ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ, ქ. სიღნაღში „ნინოობის" დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 მომსახურეობის ღირებულება შეადგენს 500 ლარს.

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 26.01.11-დან 28.01.11-მდე.

მუხლი 3. მომსახურეობის შესაბამისობა

3.1 შემსრულებელი ვალდებულია გაწიოს მომსახურეობა ხარისხიანად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2 3.1 პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლისაგან არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. მომსახურეობის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურეობა ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 5. მხარეთა უფლება მოვალეობანი

5.1 შემსრულებელი ვალდებულია:

ბ) მომსახურეობის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

გ) საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლის აღმოფხვრა;

5.2 დამკვეთი ვალდებულია:

შეუფერხებლად აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურეობის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობიდან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველობის ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობებს აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს,

რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარეს, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი მოვლენები მოყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე, ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ანგარიშსწორების დაწყებიდან სამუშაოს დასრულებამდე.

7.2 დამკვეთი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება თუ:

ა) შემსრულებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმდინარეობს შემსრულებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

7.3 იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი წყდება დამკვეთის მხრიდან, დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს კონტრაქტორს შესრულებული მომსახურეობის მთელი მოცულობის, კონტრაქტის გაწყვეტის თარიღამდე წინასწარი გადახდის გამოკლებით.

7.4 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების საფუძველზე.

7.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.6 მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკების გზით, იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქ. სიღნაღი. დ.აღმაშენებლის 2
ს/კ №240417223
სახალხო ბანკის სიღნაღის ფილიალი
კოდი№220101455
ანგ№33034575

ბ.ა

---------- ნ. კოჭლამაზაშვილი

ა(ა)იპ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"
საიდ.კოდი: 240418730
ს/ს "სახალხო ბანკის"
სიღნაღის ფილიალი
კოდი №220101455
ა/ა 34084971

ბ.ა

---------- მ. ვაშაკიძე